ცნობის ფურცელი

№ 2561 | ხუთშაბათი, 22 ივლისი | 1896—1904 | ყოველ-დღიური გამოცემა | № 2561

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა. შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

თავადი მიხეილ ალექსანდრეს ძე რუსიშვილი,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დედა გარდაცვალებულისა კნ. მარიამ მიხეილის ასული და მეუღლე კნ. ნინო გიორგის ასული რუსიშვილები.

პანაშვიდი გარდახდილი იქმნება დღეს, 22 ივლისს, დილის 11 საათზე მიხეილის საავადმყოფოს სამლოცველოში, ხოლო დასაკრძალავად ცხედარს წაასვენებენ ქალაქ თელავს. (1—1)

ფოთის საბუხჰალტერო კურსები

(წელიწადი მეხუთე)

სწავლა დაიწყება პირველ ენკენისთვიდან და გრძელდება ერთი წელი და ორი თვე. კურსებზე ღებულობენ როგორც ვაჟებს, ისე ქალებს. ასწავლიან: 1) საერთო ბუხჰალტერიას მარტივი და ორკეცი სისტემისა. 2) სპეციალურ ბუხჰალტერიას სხვა-და-სხვა დაწესებულებათა: ბანკების, ქარხნების, აქციონერულ საზოგადოებების, დიდ მაღაზიებია და სხვათა ამ გვართა. 3) სავაჭრო არითმეტიკას. 4) სავაჭრო ეკონომიას. 5) სავაჭრო გეოგრაფიას. 6) სავაჭრო და სათამასუქო კანონებს. 7) სავაჭრო მიწერ-მოწერას და 8) კალიგრაფიას.

კურსების დამაარსებელი კ. გიგინეიშვილი.

მსურველთ პროგრამებს უგზავნის უფასოდ. (25—6.—8)

საფაბრიკო საწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
გ. ი. პალლიზენ

რჟევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკების ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. ბაქო, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები ტელეფონი № 679. (0—143)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ი. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11—12 საათამდე.

მ. ტ. მუღნინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9—10 ს.

არ. მ. ხოზოლევსკი.—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკე. 1—3 საათამდე.

პ. ა. ზეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველ დღე.

ექ. ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 11—12 ს.

დ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

მ. მ. ხოზოლევსკი.—ქირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

სამკურნალოში ხდება ქიმიკურ-მიკროსკოპიული და ბაქტერიოსკოპიული გამოკვლევანი.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავტები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან პეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 B. (Тел.) ტელეფონი № 274

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 12—2 ს., საღამოთი 6—8 ს., სამშაბათობით მხოლოდ საღამოობით. კიროჩნის და დიდი მთავრის ქუჩ. კუთხე, სახლი სვანიშვილისა № 11 (კიროჩნი ქუჩიდან).

შემთხვევით
იაფად იყიდება

ორთქლით (паровая) მომუშავე მანქანა 20 ძალისა—ქვაბით და ორთქლით მომუშავე წისქვილი. ამიერ კავკასიის რკინის გზის სად. ძეგამიდან 70 საჟენის მოშორებით. ადრესი: სად. ელისავეტპოლი И. Ясевичу. (3—3421—2)

დოქტორი მედიცინისა
ვ. ი. ინაევი

მიიღებს შინაგანის, ქალების და ბავშვების ავადმყოფობით შეპყრობილთ, დილით 1—3 და საღამოთი 5—8 საათამდე.

დასაწყისი მიხეილის ქუჩისა № 47. (10—253—4)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 ივლისი

პეტერბურგი. გენერალის სახაროვის დეპეშა, მთავარ შტაბს 19 ივლისს: „საიმაძი-ლიაოიანის მხარეს ცხარე ბრძოლის შემდეგ 18 ივლისს ჩვენი მოწინავე ჯარი თავისსავე პოზიციებზე დარჩა. 19 ივლისს მტერი გაუბედავად მოდიოდა წინ ჩვენის მემარჯვენე ფრთეს წინააღმდეგ ფინხუანჩენ-ლიაოიანის მხარეს. ჩვენმა ჯარმა უკან დაიწია და იანელინის უღელტეხილს აქეთ დადგა. 19 ივლისმა წყნარად ჩაიარა.—17 ივლისს ფინხუანჩენ-ხაიჩენისაკენ მოქმედებდნენ იაპონელთა მზვერავი რაზმები. მტრის ჯარი მაღლობებიდან ჩამოვიდა მდინარე შახეს ხეობაში სიმუჩენისკენ, მაგრამ ჩვენის სადარაჯოების ზარბაზნებმა უკან დასწიეს. სანჩენძის აღმოსავლეთით იაპონიის ქვეითა ჯარი წამოვიდა ჩვენის მოწინავე პოზიციის წინააღმდეგ. იაპონელებს შველოდნენ სამთო და საველე ბატარეები. ჩვენმა ორმა ბატალიონმა შეაჩერა იაპონელთა წინსვლა და თავის პოზიციებზე გამაგრდა. ამავე დროს ჩვენის სადარაჯოების ზარბაზნებმა შეაჩერეს უტუნშუგოუდან წამოსული ქვეითა ჯარი იაპონელებისა. ჩვენ დავიჭირეს ორი აფიცერი და 34 სალდათი. 18 ივლისს იაპონელებმა გამოილაშქრეს ლიაოხანძესკენ (კანგულინის სამხრეთ-დასავლეთით 3 ვერსზე). მტრის ქვეითა ჯარი, რომელიც ლიაოხანძეზე მოდიოდა, შეაჩერეს ჩვენმა ბატარეებმა და ექვსმა როტამ, რომელთაც მაღალი მთა ეჭირათ ლიაოხანძის სამხრეთით. ჩვენ მოგვიკლეს ორი და დაგვიჭრეს ერთი აფიცერი; 20 სალდათი მოგვიკლეს და დაგვიჭრეს 18 ივლისს, დილის $4^1/_2$ საათზე ჩვენს სადარაჯოებზე იერიში მოიტანა იაპონელთა ორმა ბატალიონმა და დაიჭირა უღელტეხილი იაიშუგოუსა და სუძიაპუძას შუა. ჩვენ დავიჭირეს 5 აფიცერი და 40-მდე სალდათი.—სამხრეთით მტერი მხოლოდ ზარბაზნებს ისროდა, ისიც შორის მანძილიდან“.

სტამბოლი. („კორ. ბიურო“). სიმართლეს მოკლებულია გაზეთების მიერ გავრცელებულ ამბავი, ვითომ ზომები იქმნა მიღებული და ნოტებიც გაიგზავნა რუსის დობროვოლნი ფლოტის გემების შავი ზღვიდან გასვლის შესახებ.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. სტატს-სეკრეტარის თანაშემწემ პერსიმ, როდესაც შეეკითხნენ, განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობამ დაავალა პეტერბურგში მყოფ თავის ელჩს, გადასცეს რუსის მთავრობას პროტესტი იმის გამო, რომ სურსათი სამხედრო კონტრაბანდად იქნა ჩარიცხულიო.

21 ივლისი

პეტერბურგი. ვიცე-ადმირალის სკრიდლოვის დეპეშა, ხელმწიფე იმპერატორს: „უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას, რომ კონტრ-ადმირალმა იესენმა, რომელიც გავგზავნე იაპონიის აღმოსავლეთ ნაპირისაკენ კრეისერებით „როსია“, „გრომობოი“-თა და „რიურიკ“-ით, შემდეგი მომახსენა: 7 ივლისს, როდესაც კრეისერებმა სანგარის სრუტე გაიარეს, წინ შეეჩეხათ იაპონიის პატარა გემი „კასიმამარუ“. გემიდან ხალხის გადმოსხმის შემდეგ, ჩვენმა ესკადრამ ჩასძირა იგი. იმავე დროს ჩვენმა ესკადრამ გააჩერა და ჩვენება ჩამოართვა ინგლისის გემს „კამარა“-ს, რომელიც ნახშირისათვის მიდიოდა მორორანში. თუმცა ეჭვი აღიძრა, რომ ეს გემი კონტრაბანდას ეზიდება, მაგრამ, რადგან გემზე არც საქონელი იყო და არც საბუთები, იძულებული ვიყავით გემი გაგვენთავისუფლებინა. შემდეგ შეგვხვდა სანაპირო გემი „კიონდუნიუმარუ“ 50 მგზავრით. ამათ შორის ბევრი ქალიც იყო; ამ გარემოებამ გვაიძულა გემი გაგვეშვა. სამხრეთით შეგვხვდა იაპონიის ორი ნავი, თევზითა და მარილით დატვირთული. მენავეები გადმოვსხით და ნავები დავღუპეთ. 9 ივლისს იოკაჰამიდან 100 მილის სიშორეზე გერმანიის გემი „არაბია“ გავაჩერეთ; გემზე კონტრაბანდა აღმოჩნდა: რკინის გზის საშენებელი მასალა და ფქვილი, რომელიც იაპონიის ნავთ-სადგურებში მიჰქონდათ. გემი „არაბია“ ვლადივოსტოკში გავგზავნეთ. 10 ივლისს, დილით, შეგვხვდა დიდი გემი, რომელიც მხოლოდ მაშინ გაჩერდა, როცა ოთხჯერ ვესროლეთ. აღმოჩნდა, რომ ეს იყო ინგლისის სავაჭრო გემი „ნაიტ-კომანდერ“-ი, რომელიც ნიუ-იორკიდან მოდიოდა იოკოჰამასა და კობეს. შკიპერს ვუნახეთ არა ოფიციალური და არა სრული კოპიოები გემის საბუთებისა, რომლებიდანაც აღმოჩნდა, რომ გემს მიჰქონდა იაპონიაში 4000 ტონამდე რკინის გზის საშენებელი მასალა. „ნაიტ-კომანდერ“-ი ჩავთვალეთ კონტრაბანდის მზიდავ გემად და, რადგან, ნახშირის უქონლობისა გამო, მისი

† გენ. გრაფი კელლერი
(18 ივლისს მოკლული ლიაოიანის ახლო)

წაყვანა არ შეგვეძლო, „ნაიტ-კომანდერ“-ი ჩავძირეთ, ხალხი გადმოვსხით და საბუთები წამოვიღეთ. შუადღისას დავღუპეთ კიდევ იაპონიის ორი ნავი მარილით დატვირთული. ამავე დროს შევნიშნეთ და გავაჩერეთ ინგლისის გემი „ჩაინა“ ავსტრალიიდან იოკოჰამაში მიმავალი. საქონლისა და საბუთების გაჩხრეკის შემდეგ, „ჩაინა“ გავანთავისუფლეთ, რადგან ზედ კონტრაბანდა არ აღმოჩნდა. 11 ივლისს, დილით, დავინახეთ და გავაჩერეთ გერმანიის გემი „ტეა“, ამერიკიდან იოკოჰამაში მიმავალი. ეს გემი თევზით დატვირთული აღმოჩნდა, ხალხი გადმოვსხით და გემი ჩავძირეთ, რადგან მისი მოყვანა რუსეთის ნავთსადგურში არ შეგვეძლო. 17 ივლისს, შუადღისას, ჩვენი ესკადრა სანგარის სრუტესაკენ გაემართა. ნაშუადღევის 3 საათზე ჩრდილოეთ ნაპირის გასწვრივ შევამჩნიეთ იაპონიის კრეისერი მესამე ხარისხისა, ალბათ, „ტაკაო“, სამის ნაღმიანის გემით; იმათ უკან—გემი „კონგო“-ს ტიპისა 4 ნაღმიანის გემით. ყველა ეს გემი ერთად მიდიოდა ერთ მხარეს. ამავე დროს სრუტეს მარცხენა ნაპირთან გამოჩნდა სანაპირო ჯავშნიანი გემი „საიენ“-ის ტიპისა. ყველა ეს გემები ძალიან ნელა მოდიოდნენ, ჩამოგვრჩნენ და 5 საათზე უკან დაბრუნდნენ. ბედნიერება მაქვს მოვახსენო თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას, რომ კრეისერებმა ეს ხანგრძლივი ლაშქრობა უზარალოდ და უმსხვერპლოდ დაათავეს; არც დაჭერილ გემებზე მოგვიკლავს ვინმე“.

გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის დეპეშა, მისს უდიდებულესობას 19 ივლისს: „აღმოსავლეთ რაზმის უფროსი მატყობინებს, რომ იმისმა ჯარმა დასტოვა პოზიცია იანზელინის უღელტეხილზე და დაიწია ლიანდიანსისაკენ. საიმაძისა და ლიაოიანის გზაზე ჩვენმა ჯარმა სასტიკის ბრძოლის შემდეგ უკან დაიწია. ჯარი დიდად დაზარალდა. იმედი მაქვს, რომ მთავარ პოზიციაზე ჯარი გაუძლებს გაცილებით მეტს მტერსაც. უკანასკნელ დღეების ცნობებით, გენერალმა კუროკიმ საიმაძ-ლიაოიანის გზაზე თავი მოუყარა იმ ჯარებს, რომელთა დანიშნულება იყო მდინარე ტაიძის მარჯვენა ნაპირზე მოქმედება. 19 ივლისს მტერი სამხრეთ ფრონტიდან ნელა მოდიოდა წინ, მაგრამ ჩვენმა დაზვერამ აღმოაჩინა, რომ მტერი ხაიჩენთან გვერდიდან მოვლას უპირებს ჩვენს ჯარებს. მტრის რაზმი აქ სამ დივიზიამდეა. ამ დღეს აღმოსავლეთის რაზმს ბრძოლა არა ჰქონია. საიმაძ-ლიაოიანის გზაზე მტერი წინ წამოვიდა, როგორცა სჩანს, პატარა რაზმებით, და, ჩვენის მარჯვენა ფრთესა და არიერგარდისაკენ მოდის“.

ტოკიო. 20 ივლისი („რეიტ. სააგ.“). ამბობენ, სამი დღის მეტად ცხარე ბრძოლის შემდეგ იაპონელებმა პიაოჯანგოუ აიღესო.

პეტერბურგი. 20 ივლისს ხელმწიფე იმპერატორი გამოემშვიდობა პეტერგოფში შორეულ-აღმოსავლეთს მიმავალ სამარასა და კასპიის პოლკებს. ხელმწიფე იმპერატორმა კეთილი გზა უსურვა პოლკებს და ხატებით დალოცა.

ხარბინი. 20 ივლისი (სააგ. საკ. კორ.). აქ მოვიდა პორტ-არტურიდან ჩვენი მოსამსახურე. იგი 9 ივლისს გამოსულა იქიდან და ამბობს, რომ ციხეში სიწყნარეა. ყველა მხნედ არის. მცხოვრებნი და ჯარი არად აგდებენ იმ ხმას, რომ იაპონელნი ერთსა და იმავე დროს უპირებენ ყუმბარების დაშენას ქალაქს როგორც ხმელეთიდან, ისე ზღვიდან. მტერი ვერ ახერხებს ღამ-ღამობით ნაღმების გაფანტვას პორტ-არტურის რეიდზე, რადგან ჩვენი ბატარეები ფხიზლად არიან. მცხოვრებნი არად აგდებენ ღამ-ღამობით ზარბაზნების სროლას, რადგან ამას ჩვეულებრივ მოვლენად სთვლიან. ქალაქს ცვლილება არა ეტყობა-რა: სახლები არსადაა დაქცეული. სურსათი საკმაოა. გაზეთი „ნოვი კრაი“ ისევ გამოდის.

ტოკიო. („რეიტ. სააგ.“). ორის დღის ბრძოლის შემდეგ კუროკიმ 19 ივლისს ორ-

ჯელ გაიმარჯვა კუშულინძასა და იანზელინთან.

პოლტავა. წავიდა წითელის ჯვრის ადგილობრივ განყოფილების მიერ მოწყობილი საავადმყოფო.—საავადმყოფოში ორასი საწოლია.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. რუსეთის მთავარ-შტაბმა გამოაცხადა: ცნობა, ვითომ მანჯურიის ჯარის სარდალი დასჭრესო, საფუძველს მოკლებულია. მისი მაღალ-აღმატებულება სრულიად ჯანმთელადაა. („რ. ვ.“).

„პეტერბურგსკაია გაზეტა“-ს დეპეშა მოუსვლია ხარბინიდან: გაზეთების კორესპონდენტები დროებით ხარბინში გადასახლდნენ; ეხლა დეპეშების გზავნა მხოლოდ ხარბინიდან შეიძლებაო.

ტელეგრაფის უმთავრესმა მმართველობამ გამოაცხადა: 14 ივლისს აქეთ ინკოუში რუსულ ენაზე დეპეშა აღარ გაიგზავნებაო. („რ. ვ.“).

„რუსკი ლისტოკ“-ის ლიაოიანელი კორესპონდენტი სწერს: „15 ივლისი. თითქმის ყოველ დღე წვიმა მოდის. რუსის ჯარი უმთავრესად უფეხსაცმლობით იტანჯება. მთის გზებსა და ბილიკებზე სიარული ხელად სცვეთს ფეხ-საცმელს. ჯარს წამოსასხამებიც სჭირია. მუდმივი უკან დახევა ყველაზე ცუდად მოქმედებს.“

„რუს“-ის კორესპონდენტი დეპეშით იუწყება ლიაოიანიდან: 14 ივლისი. ეს არის ეხლა აღმოსავლეთის რაზმიდან (გრაფ კელერის რაზმიდან) დავბრუნდი. იქ სიწყნარეა. იაპონელები რუსების პირდაპირა დგანან. ნამდვილად გაიგეს, რომ იაპონელებს გუციაცის პოზიციის წინ მხოლოდ 2 პოლკი უდგათო. უმთავრესი ჯარი სამხრეთისაკენ გაუგზავნიათ. იაპონიის ჯარი საოცარის სიმარდით მოძრაობს. გენ. კუროკიმ მუკდენისაკენ განგებ ჯარი გაგზავნა, ვითომდა რუსის ჯარისათვის გზა უნდა მოეჭრა; რუსებმაც მაშინვე იქითკენ გაჰგზავნეს ჯარი; ნამდვილად-კი იაპონელებმა დაშიცაოსთანა და სემუჩენთან მოიტანეს რუსის ჯარზე იერიში. აქ ლიაოიანში ყველას უკვირს გენ. კუროკის სამხედრო ტალანტი და სტრატეგიული ნიჭი. მეტად მოხერხებულად, მარჯვედ ამოძრავებს ჯარებს და სადაც საჭიროა, ხელად იქ მოაქცევს ხოლმე. უნდა ისიც იცოდეთ, რომ გენ. კუროკის რკინის გზა არა აქვს; იმისი ჯარი სულ მთის გზებსა და ბილიკებზე მიდი-მოდის.

ფრანგულ გაზეთებს ატყობინებენ: იაპონიის სამივე არმია წინ მიდის სხვა-და-სხვა გზით და თუ რუსის ჯარმა უკან არ დაიხია, მალე უსათუოდ დიდი ბრძოლა და სისხლის ღვრა მოხდება მანჯურიაში.

ტოკიოდან დეპეშით ატყობინებენ ინგლისურ გაზეთებს: გენერალი ოკუ იუწყება, რუსის უკანა ჯარი ანშანდიანის ჩრდილოეთითა სდგას დაშიჩაოსა და ხაიჩენს შუაო. იაპონელები დაშიჩაოსთან ხაიჩენისაკენ მიდიან; ამავე დროს გენ. კუროკის ორი დივიზია ლიაოიანისაკენ მიდისო. („რ. ვ.“).

დაგუშანის (მესამე) არმიის უფროსმა 14 ივლისს ოფიციალურად მოახსენა იაპონიის მთავარ შტაბს: 9 ივლისს, შუადღისას ჩვენის არმიის რაზმმა იერიში მიიტანა და წრე შემოავლო მტრის ჯარს ფხანლინის უღელტეხილს (ხაიჩენის გზაზეა, დალინის უღელტეხილის ჩრდილოეთით) ახლო და ფხანლინი დაიჭირა. საღამოს 7 საათ. 30 წუთზე რუსის უმთავრესმა რაზმმა ჩრდილოეთისაკენ დაიხია. ჩვენ 9 კაცი მოგვიკლეს და 20 დაგვიჭრეს. მტერს ბრძოლის ველზე 14 მოკლული კაცი დარჩა; ამას გარდა 3 კაცი დავატყვევეთო. („რ. ს.“).

ტოკიოდან ატყობინებენ ინგლისურ გაზეთებს: 18 ივლისს დაგუშანის არმიამ სიმუჩენი (ხაიჩენის გზაზეა) დაიჭირაო. („ნ. ო.“).

ბერლინში სამხედრო წრეებს ეშინიათ, გენ. ზარუბაევის კორპუსი (ხაიჩენს ახლოა, გენ. ოკუს პირდაპირ) განსაცდელში არ ჩავარდესო. („რ. ლ.“).

„რუსი“-ს კორესპონდენტი სწერს: დაშიჩაოსთან რუსებს ათასამდე კაცი დააკლდათ მოკლული და დაჭრილი. რუსის ჯარმა ხაიჩენისაკენ დაიხია. ჯარის კაცებს მოჰბეზრდათ ამდენი უკან დახევაო.

ბ-ნი ნემიროვიჩ-დანჩენკო დეპეშით ატყობინებს „რუსკოე სლოვო“-ს: „დაშიჩაოსთან ბრძოლის დროს დასჭრეს არტილერიის გენერალი შიშკოვსკი, ბატარეის უფროსი პაშჩენკო და ტომსკის პოლკის უფროსი უსპენსკი. ხელჩართულ ბრძოლის დროს ოფიცრები სერდიკოვსკი და ონიშკევიჩ-იაცინი მოჰკლეს და ოფიცრები ვოიცეხოვსკი, გროზელსკი და მრავალნი სხვანი დასჭრესო.

დაშიცაოსთან მომხდარ ბრძოლის თაობაზე „რუსკია ვედომოსტი“-ს სამხედრო თანამშრომელი ბ-ნი ს. კ. სწერს: ამ ბრძოლის დროს რუსის ჯარს გენ. ზარუბაევი უფროსობდა და არა გენ. შტაკელბერგი. სჩანს გენ. შტაკელბერგის კორპუსი ჩრდილოეთისაკენ წაუყვანიათ იაპონელების ჯარის წინ გენ. ზარუბაევის მე-4 კორპუსი დამდგარა და დაშიჩაოსთანაც ამ კორპუსს უბრძოლია... ეტყობა, გენ. შტაკელბერგის კორპუსს, თითქმის ერთის თვის ლაშქრობისაგან დაქანცულს და ვაფანგოუსთან 2 ივნისს დაზარალებულს, შესვენება და ჯარის შევსება დასჭირებია.. ვაფანგოუსთან ბრძოლამ დიდი გავლენა იქონია სამხედრო მოქმედების ვითარებაზე; ეს ბრძოლა რომ არა ყოფილიყო, იქნება რუსის ჯარს გაიჩოუ და დაშიჩაოც არ მიეტოვებინაო.

რა ზარალი მოუვიდა რუსის ჯარს 2 ივნისს ვაფანგოუსთან ბრძოლის დროს, დღესაც არავინ იცის სწორედ. უცხოეთის გაზეთები იუწყებოდნენ, ამ ბრძოლის დროს რუსებს 10—14 ათასი კაცი დაუჭრეს და მოუკლესო. ბ-ნი ს. კ. სწერს „რუსკია ვედომოსტი“-ში: სამწუხაროდ, გენ. შტაკელბერგის დაწვრილებითი მოხსენება ამ შესანიშნავ ბრძოლის თაობაზე ჯერაც არაა გამოცხადებული. მთავარ-შტაბისა და „რუსკი ინვალიდ“-ში დაბეჭდილ ცნობებიდან სჩანს, რომ 2 ივნისს ვაფანგოუსთან რუსებს დაახლოვებით 4 ათასამდე კაცი დაუკარგავთ, ამათგან 134 ოფიცერია. ბრძოლის ველზე სულ 17 ზარბაზანი დაუტოვებიათ: 13 საველე ზარბაზანი პირველ ბრიგადისა და 4 სამთო ზარბაზანი.

ინგლისურ გაზ. „დეილი ქრონიკლ“-ის სამხედრო თანამშრომელი სწერს: 2 ივნისს ვაფანგოუსთან ბრძოლა მოჰხდა. გენ. შტაკელბერგმა გაჭირვებით ჩრდილოეთისაკენ დაიხია, გენ. ოკუც თან გაჰყვა. იაპონელების სარდალმა 9 ივნისს სენიუჩენი დაიჭირა, 26 ივნისს გაიჩოუ და 12 ივლისს დაშიჩაო. გენ. ოკუს რომ მოენდომნა, დაშიჩაოს უფრო მალე აიღებდა. მაგრამ იაპონელი სარდალი მთელი ორი კვირა იდგა გაიჩოუსთან, სანამ დაშიცაოზე იერიში მიიტანა. რით აიხსნება ესეთი მძიმე მოქმედება? ალბად, იმით რომ გენ. ოკუსა და დაგუშანის არმიას ამ დროს მაშველი ჯარი, სამხედრო სურსათი და პროვიანტი მისდიოდათ იაპონიიდან. იაპონელ სარდლებს ეხლა, ჩვენის აზრით, საკმაო ჯარი ეყოლებათ და ამას იქით უფრო ფიცხადა და მედგრად მოიქცევიან, თუ რასაკვირველია, ამინდმა ხელი არ შეუშალათო. („რ. ს.“).

„სტანდარდ“-ს დეპეშით ატყობინებენ შანხაიდან: 12 ივლისს იაპონიის ფლოტმა ზილოტაია გორას ზარბაზანი დაუშინაო. („რ. ს.“).

ფრანგი ეკონომისტი ჟორჟ ლევი ამტკიცებს, იაპონია დიდხანს შეძლებს ომსაო. ამ ომმა სულ არ იმოქმედა იაპონიის აღებ-მიცემობაზეო. 1904 წლის 1 ივნისამდე იაპონიის საზღვარ-გარედ 294 მილიონ იენის საქონელი გაუტანია და 411 მილიონისა შემოუტანია. 1903 წლის ვაჭრობას რომ შევადაროთ, გამოვა, რომ იაპონიას წელს ხუთის თვის განმავლობაში 80 მილიონ მანეთისა მეტი საქონელი გაუტანიაო.

ბრძოლა დაშიცაოსთან 10 და 11 ივლისს. გენ. ოკუმ 14 ივლისს ოფიციალურად მოახსენა იაპონიის მთავარ შტაბს: 10 ივლისს მტერს უკან დავახევინეთ და დილის 10 საათიდან თანდათან ტანჩის სამხრეთით სიოტუნის მიდამოებიდან ვიდრე ჩუხოტუნამდე პოზიციები ყველა ჩვენ დავიჭირეთ; მენდიაოტუნის სამხრეთით სიმაღლეებიც ჩვენ ჩავიგდეთ ხელში. ჩვენ მარჯვენა ფრთაზე ჩვენის კავალერიის ნაწილმა ხოანშის მიდამოები დაიჭირა. მტრის ორი ბატარეია ჩანმენის ახლო დადგა ხაიჩენის გზაზე და უიდალინის მხარეს ჩვენს ჯარს ზარბაზანი დაუშინა. ამავე დროს მტრის პატარა ცხენოსანი რაზმი შანტუნიდან იერიშით წამოვიდა ჩვენზე. მტერს ძლიერ გამაგრებული სანგრები ჰქონდა და ყველგან გამართული ნიუშიაშინიდან მოკიდებული ვიდრე ლიუძიაუმდე (ტანჩის სამხრეთითაა). რუსებს ძლიერი რაზმები ედგნათ ჩენდაოპუს დასავლეთით. ჩინძიატუნის ჩრდილოეთით და ცაპანლინის ჩრდილოეთ-დასავლეთით, მტრის პოზიციები დავზვერეთ და ჩვენი ჯარი მტრის ჯარის პირ-და-პირ დავაყენეთ კუშუკოუს მიდამოებში, ტანჩიდან 4 კილომეტრის მანძილზე, სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. 11 ივლისს გათენებისას ხელ-ახლად მივიტანეთ მტერზე იერიში და დილის 9 საათზე ჩვენი მარჯვენა ფრთა ტაიპინის სამხრეთით სიმაღლეებს დაუახლოვდა. მტრის ხუთმა ბატარეიამ ზარბაზანი დაუშინა ჩვენ ჯარს. ხაიჩენ-გაიპინის გზაზე ჯერ ბრძოლა არ დაწყებულიყო. მტერს 100 ზარბაზანი ჰქონდა, საშინელი სროლა ასტეხა და ჩვენ ჯარს იერიშის მიტანა დაუშალა. ბინდის დროს ზარბაზნის სროლა შესწყდა. მტერს ამ ბრძოლის დროს 5 დივიზია ქვეითა ჯარი ჰყავდა. 11 ივლისს ღამით ჩვენი და მტრის ჯარი ჩუმად ერთმანეთს დაუახლოვდნენ. გაიპინგ-ხაიჩენის გზის პირას მტერმა ორი დივიზია ჯარი დააყენა და ჩვენზე იერიშის მოტანას აპირობდა, მაგრამ ზარბაზნის სროლა შესწყდა თუ არა, ჩვენმა მარჯვენა ფრთამ ბნელაში იერიში მიიტანა მტრის პოზიციაზე ლაპანლინს ახლო და ღამის 10 საათზე აიღო კიდევაც. მაშინვე მეორე პოზიციაზე მიიტანა იერიში და ღამის განმავლობაში შანსიდოუს აღმოსავლეთით სიმაღლეები დაიჭირა. გათენებისას მტერმა დაშიჩაოსაკენ დაიხია. დილის 7 საათზე ჩინძიატუნის პოზიცია დაუბრკოლებლივ დავიჭირეთ და მტერს დაშიცაომდე ვსდიეთ. ჩვენი ზარალი—800 კაცამდე მოგვიკლეს და დაგვიჭრეს. („ნ. დ.“).

მანჯურიის ჯარის მთავარ-სარდალმა განკარგულება მოახდინა, ნება არ მისცენ მანჯურიაში წასვლისა იმათ, ვისაც ჯართან რამე კავშირი ან საქმე არა აქვთ. ამის გამო სადგურებს მანჯურიასა, პოგრანიჩნაიასა და ხარბინში ყველას ქაღალდებს უშინჯავენ და ვისაც არა აქვს საეროობო უფროსისა, მაზრის უფროსისა ან ამათზე დიდ მოხელის ქაღალდი იმის შესახებ, რომ მგზავრი ჯარის საქმეების გამო მიდის მანჯურიაში, იმას არ უშვებენ ამ სადგურებს იქით. („პრ. ვ.“).

ფელეტონი

წერილები გერმანიიდან

III

მირბახიადა

დიდი არსებითი განსხვავებაა თავისუფალ საფრანგეთსა და ბიუროკრატიულ გერმანიის შორის. ეს არც გასაკვირველია: თავისუფლება და ბიუროკრატიზმი ორი სრულიად მოწინააღმდეგე მცნებაა, იმათ შორის ღრმა უფსკრული სძევს. ამიტომაც ეს თვალსაჩინო განსხვავება საზოგადოებრივ ცხოვრების ყოველ სფერაში წამდაუწუმ თავს იჩენს ხოლმე. მაგალითად: ყველასათვის ცნობილია, რომ საფრანგეთში ძლიერ უყვართ საზოგადო სენსაციების მოხდენა, პატარა საქმეების გაზვიადება. ფრანგები ენტუზიასტები არიან და მათი გატაცება ამიტომ ადვილია ამიტომ იქ ასე ხშირად ხდება პოლიტიკურ ხასიათის სკანდალები. რესპუბლიკის დაუძინარი მტრები—კლერიკალები—ყოველ დონეს ხმარობენ, ჩირქი მოსცხონ რესპუბლიკის მთავრობას, რომ მით თავისი დაკარგული ძალა და მნიშვნელობა დაიბრუნონ. რეაქციას მხოლოდ ეს ხერხი დარჩენია და, რა თქმა უნდა, ის არა საკადრისს საშუალებას არ ერიდება, ყველაფრით სარგებლობს, რომ თავისუფლებას როგორმე ფრთები შეჰკვეცოს, რომ ხალხი ისევ ძველ სიბნელეში ამყოფოს. რეაქციონური დასები ამნაირ სენსაციურ მოგონებებით და სიცრუით ხანდისხან დიდ ყურადღებას იქცევენ და საზოგადოებაში მთავრობისადმი უნდობლობა და ეჭვი შეაქვთ.

ჩვენთვის საყურადღებო ისაა, რომ საფრანგეთში მთავრობის წინააღმდეგ ამ ნაირ სკანდალების შექმნა ადვილია. რესპუბლიკის თავისუფალ კანონების ძალით ყველა, განურჩევლად ვინაობისა, ერთნაირის სისწორით უნდა გასამართლდეს ყველა, მინისტრი თუ უბრალო მუშა, ერთნაირად საზოგადო კანონებს უნდა ემორჩილებოდეს. გაიხსენეთ, რა არ დასწამეს საფრანგეთის კლერიკალებმა მინისტრ-პრეზიდენტს კომბს, გაიხსენით, როგორ დააინტერესეს მთელი ევროპა მათ მიერ შექმნილ სკანდალით. როგორც მოსალოდნელი იყო, კომბი გამართლდა. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, ძლიერ დაამცირებს და დააქვეითებს რეაქციას, ეს დიდი ზნეობრივი დამარცხებაა იმისთვის.. ამ რიგად თავისუფალ საფრანგეთში ხდება ისეთი რამ, რაც შეუძლებელია ბიუროკრატიულ მონარქიაში—გერმანიაში. იქ ადვილია მინისტრებისა და სხვა ამგვარ კაცების პასუხის გებაში მიცემა, იქ ადვილია სიმართლის გამოქვეყნება, პირიქით—შეიძლება ფაქტების დამალვა-დამახინჯება. სულ სხვაა კონსტიტუციონურ გერმანიაში. შეგიძლიათ ბევრი სწეროთ ამა თუ იმ წარჩინებულ კაცის ბოროტ-მოქმედების შესახებ, შეგიძლიათ მთელი საზოგადოება დააინტერესოთ ამ გვარის საქმეებით, მაგრამ პრაქტიკულად ხშირად არავითარი შედეგი არ მოჰყვება ხოლმე ასეთ გამომჟღავნებას. მკითხველმა არ უნდა იფიქროს, რომ მშვიდ გერმანელ ხალხს არ უყვარდეს ამისთანა შემთხვევებში აზმაურება. პოლიტიკური სკანდალები აქაც დიდ ყურადღებას იქცევენ, აქაც დიდის გატაცებით ადევნებენ ხოლმე თვალყურს „დიდ კაცების“ ცოდვებს. მაგრამ მაგარიც ის არის, რომ ბიუროკრატიული მთავრობა ასეთ სკანდალებს ნაკლებად აქცევს ყურადღებას, ნაკლებად სთხოვს პასუხს ამ ქვეყნის ძლიერთ. აქ ხშირად აქვეყნებენ ხოლმე იმათ ბოროტ მოქმედებას; პროგრესიული პრესსა დიდის ყურადღებით მსჯელობს იმათ შესახებ, მაგრამ. . არავითარი პრაქტიკული შედეგი. ხანდახან მთავრობა თვითაც იცავს ამისთანა ვაჟბატონებს და გაზეთს, რომელმაც გაჰბედა სიმართლის აღიარება, პასუხის გებაში აძლევს და სასტიკად სჯის. ასეთი პოლიტიკა, რა თქმა უნდა, ძლიერ ასუსტებს საზოგადოების თვალში მთავრობის სახელს სწორედ ამიტომ ახარებს მთავრობის ასეთი ტაქტიკა გერმანიის მებრძოლ ოპოზიციას.

ამ ორი წლის წინად, მაგალითად, ძლიერ ახმაურა მთელი ევროპა ცნობილ მილიონერ კრუპპის შესახებ გავრცელებულმა ამბავმა, რომელიც პირველად გამოქვეყნებულ იქმნა სოციალ-დემოკრატიულ დასის მთავარ ორგანოში. მკითხველს, ალბად მოეხსენება, რომ კრუპპს იტალიაში პატარა ბავშვთა საეჭვო კლუბი დაეარსებინა. ეს უგვე შეეტყო იტალიის მთავრობას, რომელსაც სურდა კრუპპის დატუსაღება, მაგრამ ამ ამბის გამოცხადებისთანავე კრუპპი უეცრად გარდაიცვალა. დასაფლავების დღეს გერმანიის იმპერატორმა, როგორც კრუპპის პირადმა მეგობარმა, სიტყვა წარმოსთქვა და საშინლად გაჰკიცხა სოციალ-დემოკრატია ყალბი ცნობის გამოქვეყნებისათვის. მთავრობამ პასუხის გებაში მისცა გაზეთის რედაქტორები ცილისწამებისათვის, მაგრამ დარწმუნდა თუ არა, რომ ამბავი მართალი იყო, თავისი უცნაური ბრალდება უკანვე წაიღო. ამ შემთხვევამ დიდი აუალმაყალი ასტეხა. ამ დასმა მეტი სახელი მოიხვეჭა. ზნეობრივმა გამარჯვებამ დიდად შეუწყო ხელი მუშათა პარტიის გაძლიერებას უკანასკნელ არჩევნების დროს იმათმა სახელოვანმა ბელადმა ბებელმა სიამოვნებით აღნიშნა რეიხსტაგში, რომ იმპერატორის უტაქტო სიტყვებმა ჩვენს დასს დიდი დახმარება აღმოუჩინაო, რომ ფრიად სასიამოვნო და სასარგებლო იქნება თუ ენა მახვილი მეფე კიდევ გაილაშქრებს დემოკრატიის წინააღმდეგ, რადგან თითო სიტყვა ჩვენ რამოდენიმე ათასს ახალ ხმას შეგვძენს არჩევნების დროსაო. ბებელის ასეთი მწარე ირონია სამართლიანი იყო. დასისთვის ეს მომენტი სწორედ დიდი მორალური გამარჯვება იყო, რადგან მან ნათელჰყო, თუ როგორ უფრთხის მთავრობა სიმართლეს, როგორ არა სურს საეჭვო საქმეების გამოაშკარავება. ეს ფაქტი ნათლად ახასიათებს გერმანიის მთავრობის სურვილს „დედაკაცთა“ ცოდვების ჩაფუჩფუჩებისას, იმის შიშს საზოგადო აზრისადმი.

სწორედ ამ უცნაურ პოლიტიკის დამახასიათებელია ის დიდი სკანდალი, რომლის შესახებაც დღეს მთელი გერმანია გაცხარებით ლაპარაკობს და რომლის მზგავსიც იშვიათად ხდება ხოლმე. ეს სკანდალი შეეხება გერმანიის დედოფლის ობერ-ჰოფმეისტერს, ბარონ ფონ-მირბახს, რომელსაც იმდენი ბოროტ-მოქმედება ჩაუდენია, რომ იმის საქმეს აქ სამართლიანად „მირბახიადას“ უწოდებენ. აზირებული კაცი ყოფილა ეს ბარონი! მას დიდი სურვილი ჰქონია ფულის ბლომად ქონისა, მდიდრულად ცხოვრებისა და ამისათვის არა-საკადრისს ზომებისათვის მიუმართავს. დაუარსებია საზოგადოება, რომელსაც აზრადა აქვს ეკკლესიების გამრავლება ამენება-

ახალი ამბავი

— კახეთში ვაზს რაღაც სენი გასჩენია. კავკასიის სოფლოქსური კომიტეტი სპეციალისტსა ჰგზავნის ამ სენის გამოსაკვლევად.

— **სტიპენდიანტების შესანახად** ტფილისის საზალისნო სკოლაში საეროზო თანხიდან წელს გადიდო 4800 მანეთი, ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში—6,000 მან. და ტფილისის საფეიქრო სკოლაში—10,297 მან.

— როგორც ადმინისტრაციის მიერ შეკრებილ ცნობებიდანა სჩანს, **ახალქალაქის მაზრაში** წელს რიგიანი მოსავალია. სეტყვა წელს ამ მაზრაში მხოლოდ ორჯან მოსულა და 6000 მანეთის ზარალი მიუყენებია.

— **ქალაქის მუშებმა** ტეხნიკოსის ხელმძღვანელობით უკვე გაასუფთავეს ვარაზის ხევი, მტკვრის ნაპირები დიდუბეს პირდაპირ და ვერის ხიდს ქვემოდ და მოსკოვის ბალკის არხი. 21 ივლისიდან მუშები შეუდგნენ მტკვრის ნაპირების (ვორონცოვის ხიდის ქვემოდ) და დიდ-ხევის არხის გასუფთავებას.

— ინჟინერს მეცს უკვე გამოუკვლევია და შეუდგენია გეგმა ტფილისსა და მანგლისს შუა იმ ადგილებისა, რომელზედაც **წალკიდან წყალი** უნდა გამოიყვანონ.

— წარსულ სამოსწავლო წელს ქართლ-კახეთის ეპარქიაში ყოფილა 306 **სამრევლო საეკლესიო სკოლა**. აქედან ერთ-კლასიანი—197, ორკლასიანი—26, წერა-კითხვის—73. სავაჟო სკოლა ყოფილა—24, საქალებო—31, ხოლო შერეული—194. სამოსწავლო წლის განმავლობაში სწავლობდა სულ 12,272 მოწაფე.

— ბრიანსკის რკინეულობის ქარხნის რწმუნებული უკვე შესდგომია ტფილისის მუხრანის ხიდის პროექტის შედგენას. ვადა პროექტის წარდგენისა 1 სექტემბერია. აღნიშნულ საზოგადოების წარმომადგენელმა პეტერბურგიდან სთხოვა ქალაქის გამგეობას, ვადა 1 ოქტომბრამდე გადაედოს.

— ტფილისის მესამე ნაწილის სასანიტარო მზრუნველმა სთხოვა გუშინ სასანიტარო კომისიას, ჩემს თანაშემწედ ინჟინერი ს. ნ. ტერ-გრიქუროვი დანიშნეთო.

— ქალაქის მე-X ნაწილის სასანიტარო მზრუნველმა ი. ხრამელაშვილმა სთხოვა სასანიტარო კომისიას, ჩემს თანაშემწეებად დანიშნეთ სტუდენტები სტეპნსკი და სიტინიო, რომელნიც მექთად მოისდომეს მუშაობაო.

— ტფილისის სასანიტარო კომისიამ დაადგინა, რომ „ნემეცების არხი“ 15 ივლისიდან გაეწმინდათ, მაგრამ დღემდე ამისათვის ყურადღება არავის მიუქცევია.

— როგორც საჩხერიდან გვატყობინებენ, ახლო მახლო სოფლებში ყივანა-ხველა მძვინვარებს თურმე.

— ტფილისის პირველ ნაწილის სასანიტარო მზრუნველმა სვეშნიკოვმა სთხოვა გუშინ კომისიას, ჩემს ამხანაგად პირველ ნაწილში სტუდენტი ს. ი. კეფანოვი დანიშნეთო.

— 20 ივლისს განსაკუთრებულმა კომისიამ დაათვალიერა და შეამოწმა სარწყავ წყლის ახლად დამზადებული ბოჭკები. კომისიამ ბოჭკები მოიწონა. სასანიტარო კომისიის განკარგულებით ტფილისის ქალაქის ქუჩების რიგიანად მორწყვას შეუდგნენ 21 ივლისიდან.

— ტეხნიკოსმა ჩახმახჩახაძემ სთხოვა გუშინ სასანიტარო კომისიას, წინადადება მისცეს დიდხევის მახლობლად მცხოვრებთ, რომ ხევში უსუფთაობას არა ჰყრიდნენ.

— ტფილისის სასანიტარო კომისიის თავმჯდომარემ მისწერა გუშინ პოლიცმეისტერს: რადგან ბარონ-კუნენბახისა, ნასარიძისა, შადინოვისა და პიკუნის სავაჭრო სახლები ანტისანიტარულ მდგომარეობაში აღმოაჩინა პოლიციის მეორე ნაწილის სასანიტარო მზრუნველმა, ისინი პასუხის გებაში იქმნენ მიცემული, მაგრამ თქვენს მხრითაც იღონეთ რამ, რომ იმათ რიგიანად დაასუფთაონ თავიანთი სავაჭრო სახლებიო.

— ამას წინად მანავში (ტფილ. მაზრა) გიგო უცუნაშვილის ფარეხიდან ქურდებს მოუპარავთ ერთი ცხვარი. უცუნაშვილი ყვირილით დასდევნებია, მაგრამ ქურდებს თოფი გაუსროლიათ და უცუნაშვილი ფეხში დაუჭრიათ.

— საბუნჩა. 20 ივლისს, დილის 5 საათსა და 40 წუთზე, რკინის გზის ლიანდაგზე მწყემსს უნდა გადაერეკნა საქონელი, ამ დროს მოახწრო სახალხო მატარებელმა № 23 და გასრისა ერთი ძროხა და ძრიელ დაშავა მწყემსი. მწყემსი ბაქოს რკინის გზის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

— ხაშური. 19 ივლისს, დილის 4 საათზე, როდესაც სტუდენტი-პრაქტიკანტი კარაპეტოვი ორთქლმავალს სწმენდდა და ანთებდა, ფარსუნკამ იფეთქა და კარაპეტოვს სახე და მარჯვენა ხელი დაეწვა.

დღევანდელ №-თან ერთად ხელის-მომწერთ ეგზავნებათ სურათებიან დამატების **№ 238**, რომელშიაც მოთავსებულია: „ის იყო!“ ა. ჩეხოვისა, თარგმანი ვ. მ—სა; „მეგობრის სახსოვრად“, ლექსი ცახელისა. **სურათები:** პავლე კრიუგერი; „მაცდური“, მაიგნანისა; ბეთჰოვენი, ვულფისა და ორი კარიკატურა.

კიდევ მინისტრის ფონ-პლევეს მოკვლის შესახებ

პეტერბურგის გაზეთები იმაზე მეტს, რაც მოსკოვის გაზეთებში იყო, თითქმის არაფერს იუწყებიან შინაგან საქმეთა მინისტრის ფონ-პლევეს მოკვლის შესახებ. როგორც ვიცით, მკვლელობა მოხდა ხიდის მახლობლად, სასტუმროსთან. მკვლელის შესახებ „ბირჟ. ვედ.“-ი გადმოგვცემს, რომ გვარად პოლონელია. იმავე გაზეთის სიტყვით, მკვლელი დილით შესულა „ვარშავის სასტუმროს“ საზოგადო ზალაში და მოუთხოვნია ერთი ჭიქა ჩაი და არაყი, აურევია ერთად და ერთის მოსხმით დაულევია. უცნობი მაგიდასთან მჯდარა და მალ-მალე ფანჯარაში იყურებოდა თურმე. შემდეგ მოულოდნელად წამომხტარა, გარედ გავარდნილა და იქვე, სასტუმროს კუთხეში, დამდგარა, აშკარაა, მინისტრის ეტლის მოლოდინში. როდესაც ფონ პლევეს ეტლი გათანასწორებია სასტუმროს, უცნობი გამოვარდნილა ქუჩაში და ეტლისკენ გაქანებულა. ხელში მოგრძო, ცილინდრის მაგვარი ნივთი სჭერია. ამ დროს მინისტრის ეტლს მარჯვნივ, სწორედ იმ მხარეზე, საიდანაც უცნობი გაქანებულა, ველოსიპედით მისდევდა ვიღაც კაცი, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, საიდუმლო პოლიციის აგენტი ფრიდრიხ გარტმანი. გარტმანს შეუმჩნევია უცნობის განზრახვა, მოუტრიალებია ველოსიპედი და უცნობს დასჯახებია. ორივენი წაქცეულან. მეველოსიპედე ზევიდან მოჰქცეოდა, მაგრამ უცნობს მაინც მოუხერხებია ყუმბარის გადასროლა ეტლისკენ. ეგრეთვე, რა თქმა უნდა, თვალის დახამხამებაზე მომხდარა. დაშავებულან როგორც მკვლელი, ისე საიდუმლო პოლიციის აგენტი გარტმანი, რომელსაც თვალი გაჰფუჭებია. მკვლელი დაუჭერიათ გარტმანის ყვირილზე, „აი მკვლელიო“, დაუხსნია ამას. როდესაც პოლიციის მოხელე მიჰვარდნია, მკვლელს უთქვამს: „დიახ, მე ვარ მკვლელიო“.

როგორც გუშინაც ვწერდით, ყუმბარა მეტად ძლიერ ამაფეთქებელ ნივთიერებით ყოფილა შეზავებული. ამას გარდა ყუმბარა ნალის ლურსმნებით იყო თურმე გატენილი. ხმა აფეთქებისა ისე ძლიერი ყოფილა, რომ ერთ აფიცერს, რომელსაც აფეთქების დროს იმ ქუჩაზე გაუვლია, ყურის ფირფიტები (бараб. перепонка) დასწყვეტია. აფეთქების ადგილი ასს საჟენზე ბრძოლის ველს ჰგავსო თურმე: ყველგან ეტლის ნამტვრევები, ფანჯრის ნატეხები და სხვა ნივთები ეყარა. თვით მინისტრის გვამი საშინლად დაუსახიჩრებია ყუმბარას. აქა-იქ ტანზე მთელი ხორცები ამოუგლეჯია.

პრესსა

მკითხველთ უკვე გავაცანით ამას წინად ახალი კანონი გაყრილ ცოლ-ქმართა მეორედ დაქორწინების შესახებ. კანონი მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვანია; უეჭველია, გააუმჯობესებს თანამედროვე საოჯახო განწყობილებას. გაზეთები სიამოვნებით ეგებებიან ახალ კანონს და თანაც აღნიშნავენ, რომ იგი მხოლოდ პირველი ნაბიჯია ამ საქმეში და რომ მას უნდა მოჰყვეს თვით გაყრის კანონმდებლობის შეცვლა-შემსუბუქება. გარდა ამისა გაზეთები ყურადღებას აქცევენ შემდეგ გარემოებას: საზოგადოთ ახალი კანონი წინა დროზე არ ვრცელდება; ამიტომ, მეორედ დაქორწინების უფლება მიენიჭებათ ახალის კანონის ძალით მხოლოდ იმ მეუღლეთ, რომელნიც ფორმალურად განქორწინდებიან ამიერიდან, ესე იგი, ახალის კანონის გამოქვეყნების შემდეგ. მაშასადამე, ის მეუღლენი, რომელნიც დღემდის გაყრილან, ამ კანონით ვერ ისარგებლებენ. გაზეთები სამართლიანად აღნიშნავენ, რომ ამ მხრით ახალს კანონს დიდი ნაკლულევანება აქვს: იგი სრულიად უყურადღებოდ სტოვებს დღემდის გაყრილთ და აიძულებს ქორწინების გარეშე ცხოვრებას, თუმცა მათი დანაშაული მხოლოდ ის არის, რომ ახალ კანონის გამოსვლამდე გაყრილან... გაზეთ „ბირჟ. ვედომ.“-ის სიტყვით, ასეთ გაყრილთა რიცხვი რუსეთში ამ ჟამად დიდია:

> სტატისტიკური ცნობები გვეუბნებიან, რომ 1900 წელს მთელს რუსეთში ფორმალურად გაყრილა 474 ცოლ-ქმარი; თუ ამ რიცხვს მივიღებთ მხედველობაში და იმის მიხედვით ვიანგარიშებთ, დავრწმუნდებით, რომ ამ ჟამად რუსეთში სულ ცოტა სამი ათასი ცოლ-ქმარი უნდა იყოს, რომელნიც ახალ კანონის გამოქვეყნებამდე განქორწინებულან. ეს სამი ათასი კაცი იძულებულია ქორწინების გარეშე დარჩეს და შურით შეჰყურებდეს იმ ბედნიერთ, რომელთაც კანონი ნებას აძლევს მეორედ დაქორწინებისას,—ნებას აძლევს მხოლოდ ამიტომ, რომ ესენი გაყრილ იქმნენ ამ წლის 28 მაისის შემდეგ. ე. ი., ახალ კანონის გამოცემის შემდეგ.

ასეთი მდგომარეობა წინად განქორწინებულთა უსამართლობას წარმოადგენსო, ამბობს გაზეთი და სხვებიც ეთანხმებიან, და ამიტომ საჭიროება მოითხოვს, ახალის კანონის მოქმედება წინა დროზედაც იქმნას გავრცელებულიო.

***

გუშინ ჩვენ მოვიყვანეთ სხვა-და-სხვა გაზეთის აზრი მცირე კრედიტის ახალ კანონის შესახებ. ამავე საგანს ეხება გაზეთი „ნოვოსტი“ და ამბობს:

> ხალხს მეტად დიდი დახმარება ესაჭიროება და კრედიტის მოთხოვნილება ერთობ დიდია. სახელმწიფოს, რასაკვირველია, არ შეუძლია სავსებით დააკმაყოფილოს ესოდენ დიდი საჭიროება, ნამეტურ დღეს, როცა ომმა დიდი ხარჯები გამოიწვია. მაგრამ მცირე დახმარებასაც მნიშვნელობა აქვს. საქმე დაიწყება და მომავალში უთუოდ გაძლიერდება. დღეს-დღეობით ისიც კარგი საქმეა, რომ მცირე კრედიტს ორგანიზაცია იქმნა შემუშავებული, წინანდელი ნაკლულევანებანი აქა გაუქმებულ იქმნენ. აწი საქმე ფულზეა და, თუ დღეს ვერ გაიღებს ხაზინა საკმაო ფულს, ხვალ ხომ მოახერხებს ამას; მაშასადამე, მცირე კრედიტის საქმე მოწყობილად უნდა ჩავთვალოთ.

წერილები

ფოთი. 18 ივლისს, საღამოთი, სავაჭროების დაკეტვის შემდეგ, შაგირდები სალუქვაძე, რუხაძე (17—18 წლისანი) და მამფორია (11—12 წლისა) წასულან ზღვაზედ საბანაოდ. როცა ჩასულან წყალში, სამივე ერთად გაჰყოლია ზღვას სიღრმეში და რადგან ცურვა არა სცოდნიათ, სამივე ჩაუთრევია ტალღებს. შენიშნეს რა ეს, მიეშველნენ და გამოიტანეს სალუქვაძის და მამფორიას გვამები. მამფორია მალე მობრუნდა, მხოლოდ სალუქვაძე გადაიცვალა. თუმცა 3/4 საათის განმავლობაში ექიმიც მოვიდა, მაგრამ გვიანღა იყო. რუხაძის გვამი ჯერ ვერ იპოვნეს. რუხაძე შაგირდათ ყოფილა აქაურ ვაჭარს კ. რუხაძესთან, სალუქვაძე და მამფორია—ზ. გველიასთან.

ა. შ.

მირბახი აგროვებდა მდიდრებს შორის ფულს, მაგრამ თურმე ზოგჯერ ამ შეგროვილ ფულს თავის საკუთარ ჯიბეში იდებდა. მირბახი დიდ როლს თამაშობს მეფის სასახლეში და, რასაკვირველია, დიდი გავლენა აქვს მაღალ წრეში. ამიტომ მას სიამოვნებით აძლევდნენ ფულს, ზოგი სასახლეში პატივის მოპოვებისათვის, ზოგიც ორდენებისათვის. ადვილი წარმოსადგენია, რამდენს შეაგროვებდა ამ რიგად პატივცემული ბარონი. ყოველივე ეს ამდენხანს დაფარული იყო, მაგრამ ბოლოს, როგორც იქნა, მირბახის ცოდვები გამომჟღავნდა, რამაც აუწერელი თავზარი დასცა სასახლის მთელ წრეს.

აი საქმე როგორ იყო: რამდენისამე წლის წინად მირბახმა გამოართვა ნახევარ მილიონ მარკაზე მეტი პომერანის ბანკის დირექტორებს თავის საზოგადოების სასარგებლოდ. ბანკის საქმე თურმე ცუდად მიდიოდა და საქმის გამოსაბრუნებლად დირექტორებმა საჭიროდ დაინახეს ბანკს „ღვთისმშობლის ბანკი“ დარქმევოდა; ასეთი სახელი, მათის აზრით, ბანკს ნდობას მოუპოვებდა და ამრიგად თავიდან აიცილებდა აუცილებელ გაკოტრებას. მისცეს მირბახს ნახევარ მილიონზე მეტი. დაპირებისამებრ ბანკს დაერქვა „ღვთისმშობლის ბანკი“. საუბედუროდ, საპატიო სახელმა ვერ გასჭრა: ულმობელმა ეკონომიურმა კანონებმა თავისი ჰქნეს, და ბანკი ცოტა ხნის შემდეგ სრულიად გაკოტრდა. დამნაშავე დირექტორები, რომელნიც ასე უზვად ჰფლანგავდნენ სხვის ქონებას, ორი წელიწადია პასუხის გებაში მისცეს და მხოლოდ ეხლა გამოირკვა საქმის ნამდვილი ვითარება. მირბახს თურმე მხოლოდ ასი ათასი მარკა გადაუცია საზოგადოებისთვის, დანარჩენი 327 ათასი მარკა თავის ჯიბეში ჩაუდვია. აი, სწორედ აქ არის ძაღლის კუდი დამარხული. აქამდე დირექტორები არ იხსენიებდნენ მირბახს, ეჭვს გარეშეა, მათ შორის საიდუმლო შეთანხმება არსებობდა, რომ ბარონი ასეთ ჭუჭყიან საქმეში არ გაერიათ. მაგრამ ქვეყანაზე არაფერი დაიმალება: ამ შემთხვევაშიაც ერთმა გავლენიანმა კაცმა, მოწმემ ფონ-ბუდდემ, ყველაფერი პირნათლად აღიარა.

ორი თვეა, რაც ამ საქმეს გამო ახმაურდნენ და დღეს თითქმის ყველაფერი გამოირკვა. პროცესის დაწყებისათანავე გაზეთები ბრალსა სდებდნენ მირბახს და თხოულობდნენ, პასუხის გებაში მიეცათ. რა თქმა უნდა, ბარონი სდუმდა, მაგრამ შემდეგ სიჩუმე შეუძლებელი შეიქმნა. თვით იმისი მომხრე გაზეთები ამბობდნენ, მირბახმა საჯაროდ უნდა აღიაროს სიმართლე, რომ მით თავისი მოწინააღმდეგენი სამუდამოდ აალაგმოს და დააჩუმოსო. მირბახმა მისწერა პროკურორს, მოწმედ დამნიშნეთო. რა თქმა უნდა, ბარონის თხოვნა ასრულებულ იქმნა და ნამდვილი დამნაშავე მოწმეთ დაიბარეს. მან დიდის პაფოსით განუცხადა მსაჯულებს, რომ მთელი ჩემი ძალ ღონე ღარიბთა აუტანელ მდგომარეობის გაუმჯობესებას მოვანდომე და სხ. მთავარ მუხლის შესახებ მხოლოდ ორიოდე სიტყვა სთქვა: მართალია, მე მივეცი ბანკის დირექტორებს თანასწრე 327 ათას მარკის მიღების შესახებ, მაგრამ ნამდვილად ამ ფულიდან ერთი კაპეიკიც არ მიმიღია. თამასუქი მივეცი, რადგან ვენდე იმათ პატიოსან სიტყვას, რადგან დარწმუნებული ვიყავი, მერე მომიტანდნენო. მსაჯულნი დაჰკმაყოფილდნენ ასეთ პასუხით.

ეს იყო და ეს. შემდეგ ბარონი არავის შეუწუხებია. არ დაკმაყოფილდა მხოლოდ საზოგადოება, პრესსა, რომელიც აღშფოთებულია ასეთ თვითნებობითა და ძალმომრეობით და რომელიც პირდაპირ აღიარებს, მირბახი ქურდიაო. მართლაც საკვირველია, რომ კონსტიტუციონურ სახელმწიფოში ასეთი ამბები ჰხდება. ყველა მიუდგომელ მოქალაქისათვის ცხადზე უცხადესია, რომ მირბახის გამართლება ამ შემთხვევაში ყოვლად შეუძლებელია, რომ უკვე გამოაშკარავებული საბუთები ნათლად დაადგენენ მის მიერ ჩადენილ ბოროტ-მოქმედებას. მიუხედავად ამისა მთავრობა პასუხის გებაში არ აძლევს. დიდი ქემსკი კაცი ყოფილა მირბახი: ეკკლესიების აშენება, ღვთისმსახურება—აი, რა აკერია თურმე პირზე. მთელ ჩემ სიცოცხლეს ღარიბ ხალხს ვსწირავო, სთქვა სასამართლოში. ასეთის ლოთაიებით ფიქრობდა კეთილშობილი ბარონი საზოგადოების მოტყუილებას.

ბარონს თურმე ბევრი სხვა ცოდვებიც ჩაუდენია. გაზეთები სავსეა ახალ-ახალ ცნობებით ფულის მათხოვრობა მას ხელობად თურმე გაუხდია. ბარონი თავის წმინდა მოვალეობად სთვლიდა, ყველასთვის ფული გამოესძალა. სწერდა წერილებს მდიდრებს, ამ და ამ საქმისთვის შეგვეწიეთო. ისინიც, რა თქმა უნდა, უარს არ ეუბნებოდნენ, იმათ სიამოვნებას ჰგვრიდა, როდესაც ასეთი დიდი ვინმე დახმარებას სთხოვდა: დიდი პატივისცემის ნიშანი იყო ესა. მხოლოდ ერთი მდიდარი ჰამბურგელი ებრაელი აღმოჩნდა ისეთი გულცივი და მოუდრეკელი, რომ დიდ ბარონს ცივი უარი სტკიცა (მირბახმა თურმე სამჯერ განუმეორა თხოვნა, მაგრამ ამაოდ, ებრაელი ვერ დაითანხმა). ერთის სიტყვით, მირბახი დიდი მოხერხებული კაცი ყოფილა და, რასაკვირველია, თავის დიდ და საპატიო მდგომარეობით ამ მხრივ კარგადაც უსარგებლნია, ბევრი ფული ჩაუდვია ჯიბეში და ბევრი გულ-უბრყვილო მდიდარი გაუცურებია. ყველა ეს დღემდე საიდუმლოებას შეადგენდა, მხოლოდ პომერანის ბანკმა აჰხადა ფარდა იმის ოინებს.

„მირბახიადა“ დიდ-ხანს არ დაავიწყდებათ გერმანელებს. როგორც ვსთქვით, მთავრობა სდუმს. ხმა დადიოდა, მირბახი აიძულეს თანამდებობისათვის თავი გაენებებინაო, მაგრამ ეს ხმა ჯერაც არ გამართლებულა. საზოგადოების საუკეთესო ნაწილი, რა თქმა უნდა, ვერ აპატიებს მთავრობას ასეთ დაუდევრობას და თვითნებობას. თავისუფალ მოაზრეთა დასმა უკვე შეიტანა პრუსიის ლანდტაგში ამ საქმის გამო ინტერპელიაცია, რომლის შესახებაც მსჯელობას იქონიებენ მომავალ ზამთარში. როგორც ისმის, სოციალ-დემოკრატიაც აპირებს რეიხსტაგში ამის გამო ინტერპელიაციის შეტანას. უნდა მივიღოთ მხედველობაში ის გარემოებაც, რომ მირბახის წინააღმდეგია აგრეთვე რეიხსტაგის ერთი უძლიერესი დასი—ცენტრი. კონსერვატიულ ცენტრს თავისი კერძო ინტერესები აქვს: მირბახი პროტესტანტთა ეკკლესიებს აშენებდა. კათოლიკეთა პარტიას (ცენტრს) კი დიდ სიამოვნებას ჰგვრის, როდესაც პროტესტანტთა სარწმუნოების გამავრცელებელნიც მახეში ებმებიან; იმასა ჰგონია, ეს იშვიათი სკანდალი გაამაგრებს გერმანიაში კატოლიციზმს, დაამარცხებს მტრებს, და ამიტომაც ცენტრი მეცადინეობას არ დააკლებს, რომ მირბახის საქმე წეს-რიგზე გაირჩეს. თუ ასე მოხდება, ე. ი. თუ ბარონ მირბახის წინააღმდეგ გაილაშქრებს სამი გავლენიანი დასი—სოციალ-დემოკრატია, თავისუფალი მოაზრენი და ცენტრი,—მაშინ შესაძლებელია, რომ ინტერპელიაციებს რამე პრაქტიკული შედეგიც მოჰყვეს... ვნახოთ!

ივ. რამიშვილი.

სურამი სურამში წელს მოგარაკენი მეტნი არიან შარშანდელზე და დიდი მოძრაობაა ხალხისა; მხოლოდ ჯარი ნაკლებია წინანდელზე: სულ ოთხი პოლკია და იუნკრის სასწავლებელი. სურამის პარკში ხალხი ბლომად დადის; პარკი მშვენივრად არის გამართული და სუფთათაც ინახება; მაგრამ არ შემიძლია არა ვთქვა, რომ ქუჩები მეტად უსუფთაო და მტვრიანია; მეხილეები დამპალ ხილს ჰყიდიან, ყასბები, მგონი, ათის დღის ხორცს ჰყიდიან და მკითხველი ადვილად წარმოიდგეს, რა უნდა იყოს ზაფხულში რამდენიმე დღის ნადები ხორცი. ფასს-კი ერთი-სამად იღებენ. ერთს ყასაბს ვკითხე: ნუ თუ ხორცს არავინ სინჯავს მეთქი? იმან მიპასუხა: ვინ უნდა გასინჯოსო?! ექიმისა რა საქმეა! ჩვენ თითონ ვსინჯავთო. არ იქნება ურიგო, ამ გარემოებას ყურადღება მიაქციონ ვისაც შეეხება, მით უმეტესად ეხლა—როცა ხოლერის შიშია. პ. ჩ—ვა

—

უჯარმა (გარეთ კახეთი). წელს ჩვენსკენ საშუალო მოსავალია პურისა, ყურძენს კარგი პირი უჩანს, თუ ღმერთმა ბოლომდის ცა და ღრუბელი დაუმშვიდა. ხალხი ცოტა მაინც სულს მოიბრუნებს. ბარე ექვსი-შვიდი თვეა, რაც ყოველი გლეხი ფუთობით ტფილისში ფქვილსა ყიდულობს და ისე იკვებება მთელის ოჯახობით. აგერ ყანებიც შემოვიდა, ხალხი გამხიარულდა და მოემზადა სამკალათ, მაგრამ, სამწუხაროდ, წვიმიანმა ამინდებმა ხელი შეუშალა. ეს ოთხი თვეა, რაც აქ ყვავილი მძვინვარებს. მთელ სოფელში 45 სული გახდა ავად. აქედან მორჩა 32, გარდაიცვალა— 8, ამ ჟამად ავად არის 5 სული. ჩვენი სოფელი პატარაა, სულ ასი კომლისაგან შესდგება. ნ. ბ—შვილი.

—

თელავი. სპარსეთში ხოლერის გაჩენამ თითქმის ყველა ქალაქი ფეხზე დააყენა—მიიღეს სხვა-და-სხვა ზომები და თუმცა ჯერ არაფერი ნიშნებია, მუქარის მეტი, მაგრამ მაინც ბევრი საბრძოლველად მოემზადა და ემზადება. რასაკვირველია, როგორც სამაზრო ქალაქი, თელავიც უკან არ ჩამორჩა და ამანაც მიიღო ზომები (ქაღალდზე დაწერით) ქალაქის ანტისანიტარულ მდგომარეობიდან გამოყვანის შესახებ; მხოლოდ საქმით ჯერ არაფერი დაუწყვიათ, თუ არ მივიღებთ მხედველობაში სასანიტარო კომისიას, რომელიც ჩვეულებრივ დრო-გამოშვებით ათვალიერებს ხოლმე თელავის განსაკუთრებით შუა ნაწილს. თელავის თვით-მმართველობამ სასანიტარო მხრივ ქალაქი 11 ნაწილად გაჰყო და დანიშნა სასანიტარო კომისიის წევრები, რომელთაც ჯერ მოქმედება არ დაუწყიათ და, როგორც რამდენიმემ გადმომცა, თვით არც-კი იციან თურმე. რასაკვირველია, ამ უკანასკნელთ აუწყებენ და იქნება მოქმედებაც დაიწყონ, მაგრამ როდის-ღა?! ზაფხული ერთი თვე-ღა დარჩა, შემოდგომაზე ზოგს დრო აღარ ექნება, მაგ., მასწავლებელთ (3 კაცია), ზოგი წავლენ და ხელ—ახლა მოუხდებათ მაგივრების დანიშვნა, ამით-კი საქმე შეფერხდება. სასანიტარო კომისიის წევრებს, თუ-კი შრომა არ დაზოგეს და თავიანთი მოვალეობა ბეჯითად შეასრულეს, ბევრი საქმე ექნებათ გასაკეთებელი. მთელი თელავი ანტისანიტარულ მდგომარეობაშია. ქუჩები და გზები, ნამეტნავად განაპირა ადგილებისა, მცხოვრებთ სანაგვეთ გაუხდიათ. ყოველ უწმინდურებასაც-კი ქუჩებში ჰყრიან. თუმცა ნაგვისთვის განსაკუთრებული ადგილი აქვთ დანიშნული, მაგრამ სადაც მოჰხვდებათ, იქა ჰყრიან. ყველაზე მეტად ყურადღების ღირსია დაბლებისა და აბრეშუმის ამოსახვევი ქარხნები, დუქნები და ბაკები. საკირეები ხშირ უბანშია და მცხოვრებნი შეწუხებულნი არიან. ამ საგანზე რამდენჯერმე აღძრულა ლაპარაკი, გამართულა მიწერ-მოწერა, მაგრამ დღესაც საკირეები ისევ იქვეა. თუნდა სასანიტარო კომისიის წევრებმა არა და ხოლერის ხსენებაც არ იყოს, თელავის სასმელ წყაროებისთვის ერთხელ და ერთხელ უნდა იზრუნოს ვინმემ. ქალაქის თვითმმართველობა წყაროების შენახვა-გაკეთებისთვის ყოველ წლივ ფულსა სდებს; წელს ამ საგნისთვის 200 მან. გადაუდვიათ. წყაროებს-კი მოვლა და პატრონობა უნდა. არას ვიტყვით თვით წყლის თვისებაზე—სპეციალისტებისაგან გამიგონია, რომ ზოგიერთი წყალი მავნებელი თვისებისაა, რადგან სათავე უსუფთაო ადგილას უდევს და ვერ არის წესიერად გამოყვანილიო. ამას გარდა გარეგნობითაც მოუწყობელია. არც ქვა ფენილია გაკეთებული, არც სისუფთავეა დაცული. საქონელი იმავე ლულიდან ჰსვამს, საიდანაც მცხოვრებნი ჰურჭლებს ავსებენ. დარწმუნებული ვარ, ის 200 მან. რომ დაიხარჯოს, მაგ., ბატონის წყაროზე, სამყოფია რომ გარეგნობით მაინც შეკეთდეს, ახალი ქვა-ფენილი დაეგოს, მილები გასუფთავდეს და სხვ. —შვილი.

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

21 ივლისი

ტოკიო. („ვოლფ. სააგ.“). ოფიციალური. კუროკის მოხსენება: „18 ივლისს განთიადისას ჩვენმა არმიამ იერიში მიიტანა რუსებზე, რომელთაც ეჭირათ კუშულინძი, მოდულინის უღელტეხილიდან 6 მილის მანძილზე და ლიაოიანიდან 25 მილის მანძილზე. რუსების რაზმი შესდგებოდა ორის დივიზიისა და შესაფერის არტილერიისაგან. მზის ჩასვლამდის რუსების ორივე ფრთა დავამარცხეთ, მაგრამ რადგან მტერი მეტად მძლავრი იყო და მაგარი პოზიციები ეჭირა, ჩვენ ეს პოზიციები ვერ დავიჭირეთ. მეორე დღეს განთიადისას განვაახლეთ იერიში და შუადღეზე იძულებული გავხადეთ რუსები, პოზიცია დაეტოვებინათ. გამოვედევნეთ მტერს აიპინის მხარეს, 4 მილის მანძილზე. იანჩულინის დასავლეთით იდგა რუსების $2^1/_2$ დივიზია ოთხის ბატარეით. ჩვენი იერიში აქაც ნაყოფიერი იყო და მზის ჩასვლამდის ჩვენ დავიჭირეთ რუსების უმთავრესი პოზიციები. რუსების ჯარის ერთმა ნაწილმა მედგარი წინააღმდეგობა გაგვიწია და იძულებულნი გავხდით ღამე ბრძოლის ველზე გაგვეთია. 19 ივლისს განთიადისას განვაახლეთ იერიში და დილის 8 საათზე ყველა სიმაღლეები ჩვენ ხელში იყო. რუსებმა ტანხოიანისკენ დაიწიეს. ჩვენი ზარალი ირკვევა. ხელში ჩავიგდეთ ბევრი ველის ზარბაზანი. ამ ბრძოლაში იერიშის მიტანა მეტად ძნელი იყო, რადგან მტერი ფრიალო ფერდობებზე იყო გამაგრებული და არტილერიისათვის კარგი პოზიციები არ გვქონდა. სიცხე 40 გრადუსია (ცელსიის ტერმომეტრი).

21 ივლისი.

ბაქო. რადგან რეშტსა, მეშედსა და საბზევარში რამდენიმე კაცი გახდა ავად ხოლერით, ხოლო შირაზში შავი ჭირით, ბაქოში შეიკრიბნენ უმთავრესი მოხელენი პეტერბურგის მთავარ სამკურნალო ინსპექციისა და კავკასიის სამკურნალო უწყებისა იმ ზომების შესამუშავებლად, რომელთა მიღებაც საჭიროა, რათა სპარსეთიდან სენი რუსეთში არ შემოვიდეს. წინანდელ წლების გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ თავის დროზე მიღებულ ზომების მეოხებით სენი ვეღარა შემოდის. ჩვენ ექიმებს სპარსეთში ჰგზავნიან. სასანიტარო-საკარანტინო საქმეც თან-და-თან უკეთ ეწყობა. 19 ივლისს თეირანიდან მოსულნი ამბობენ, რომ ხოლერა შესამჩნევად შესუსტდაო.

ქუთაისი. გაქურდეს გელათის მონასტერი. წაიღეს საარქეოლოგიო სიძველენი.

პავლოგრადი. მაზრაში ჰურის ჭია გაჩნდა.

21 ივლისი

პეტერბურგი. „პრავიტელსტვ. ვესტ.“-ში გამოცხადებულია ცნობა პეტერბურგში ქალთა საექიმო ინსტიტუტის რეფორმის შესახებ.

პეტერბურგის ბირჟა, 20 ივლისი

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	94,00
ბერლინისაზე 100 მარკაში	46,00
პარიზისაზე 100 ფრანკში.	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,80
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,55
ბირჟის დისკონტი	$6\text{-}7^1/_2$%
4% სახელმწიფო რენტა	$92^1/_4$ გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ. . . .	—
$4^1/_2$% შინაგანი სესხი 1903 წ. . . .	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ. .	$88^3/_4$ მყიდ.
5% 1 შინ. სესხ. მოგ. ბილ. 1864 წ. .	$388^1/_2$ გაყ.
5% მეორე შინ. სესხ. მოგ. ბილ. 1866 წ.	$298^1/_2$
5% გირ. მოგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	$258^1/_2$ „
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ. . .	—
$4^1/_2$% ობლ. იმავე საზოგად..	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ. . .	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
$4^1/_2$% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა. .	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. . .	— „
ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	184 „

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

—

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 9 ს. 10 წ. (10 ს. 8 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 1 ს. 24 წ. (2 ს. 22 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 31 წ. (3 ს. 29 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 8 ს. (8 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს, ნაშუადღევის 2 ს. 2 წ. (3 ს.); საფოსტო № 3 ნაშუადღევის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 52 წ. (6 ს. 50 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.); სამგზავრო № 6 საღამოს 10 ს. 35 წ. (11 ს. 33 წ.).

ერევან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ.); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 47 წ. (4 ს. 45 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); სამგზავრო 9/10 საღამოს 9 ს. 9 წ. (10 ს. 7 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 12 ს. 53 წ. (1 ს. 51 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 37 წ. (7 ს. 35 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 1 ს. 10 წ. 2 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 9 ს. 6 წ. (6 ს. 4 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 5 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.), 3) დილის 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.(; 2) საღამოს 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.); 3) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

ფოთ-რაჰანამდე: № 45/44 ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.).

განცხადებანი

ვყიდი ფაბლის სარეზს ნამყენ

ვაზებისათვის. ფასები მორიგებით. მსურველთ შეუძლიანთ მომმართონ შემდეგის ადრესით: ქუთაისი, ვარლამ ნიკოლოზის ძე ბურჯანაძეს, ბაზრის ქ. ჰის პირდაპირ—ღვინის საწყობში. (2—10—1)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, სიფილისიანთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გაჟამებულ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

საუკეთესოდ მოწყობილი

ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა

წიგ. გამ.ქართ. ამხანაგობისა.

ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.

პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

ბუხჰალტერი-სპეციალისტი

(წელიწადი მეორე)

ამზადებს წელს ბევრად გადიდებულ პროგრამით როგორც ვაჟებს, ისე ქალებს თეორიულად და პრაქტიკულად ორმაგ იტალიანურ და მარტივ ბუხჰალტერიასა, საზოგადო სავაჭროსა და ბანკისასა, კომერციულ არითმეტიკასა, ფინანსიურ გამოანგარიშებასა, არითმეტიკას საანგარიშო ჩოთქით, კომერციულ კორესპონდენციასა, ვაჭრობის ისტორიასა, ვაჭრობის უფლებასა და ვექსილის კანონებში.

(ბანკის ბუხჰალტერია და ვაჭრობის ისტორია მსურველთათვის)

სწავლა ყოველ დღე საღამოს 5-დან 7 საათამდე, უქმეების გარდა. სწავლა ოთხ თვეს გასტანს. სწავლის გაათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ. ფასი მთელი კურსისა 60 მან. სწავლა დაიწყება ენკენისთვის 10-ს 1904 წ.

ადრესი: ტფილისი, ალ. გ. საათაშვილს, მეორე თუმანოვის ქუჩა, სახლი 17, მე-9 ნაწილში. პირადად მოსალაპარაკებლად ყოველ დღე საღამოს 4-დან 9 საათამდის, კვირა-უქმეობით-კი დილის 9-დან 1 საათამდის და საღამოს 4-დან 9 საათამდის.

ვამზადებ ზემო აღნიშნულ საგნებში აგრეთვე იმათ, რომელთაც საღამოს 8-დან 9-საათამდის შეეძლებათ სწავლა და ამასთანვე თუ ბუხჰალტერიის შესასწავლად დასჭირდებათ საზოგადო არითმეტიკაშიაც. სწავლა გასტანს რვა თვეს. ფასი მორიგებით და შეღავათიანად. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ.

(15—258—1) ალ. გ. საათაშვილი.

ტრიოხგორნი ლუდხანის ამხანაგობა მოსკოვში

ყოველ დღე ამზადებს 3.500,000 ვედრა საუკეთესო ხარისხის ლუდს, რომელიც დაჯილდოვებულ იქმნა სახელმწიფო გერბით 1882 და 1896 წ. წ. გამოფენაზე. ამხანაგობა ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ განიზრახა ყოველ დღე მიაწოდოს ადგილობრივ მომხმარებელთ ახლად დამზადებული ლუდი რაც შეიძლება ნაკლებ ფასად და ამიტომ დააწესა ლუდის გამოგზავნა ტფილისში საკუთარ საყინულე-ვაგონებით. ტფილისში ნარდათ სავაჭრო ცენტრალური საწყობი ურიგებს მსურველთ იყიდონ ხოლმე უმაღლეს ხარისხის ლუდი:

სუფრაზე სახმარებელი (თეთრი) დაწესებ. ფასი მაღაზ. 15 კაპ. ბოთლი ($^1/_{20}$) უჭურჭლოდ.
კულმბახის (შავი) „ „ „ 16 „ „ „ „

ბოთლები ფირმისა სახელმწიფო გერბით არის, კაპსიულებით. ცენტრალურ საწყობის კანტორა თავის თავზე იღებს ლუდის სახლში მიტანას: სუფრაზე სახმარებლისა 14 კაპ. ბოთლი, კულმბახისა 15 კაპ. ბოთლი ($^1/_{20}$ ვედრისა), ჭურჭლის ბე 6 კაპ.

ადრესი: პუშკინის ქუჩა, № 11, წურინოვის პასსაჟი. ტელეფონი № 1013.

შენიშვნა: ტფილისს გარეშე მყიდველთ, თუ მოისურვებენ, ლუდი გაეგზავნებათ პასტერის სისტემით დამუშავებული (ექსპორტ) და ღვინის ჭურჭლებში ჩასხმული. (50—35—27)

გენერალნოე ობშჩესტვო

(Генеральное общество)

სიცოცხლის და სიკვდილამდის შემოსავალთა დაზღვევისა

აძლევს დამზღვევთ:

1) შეურყეველ გარანტიას, რომ უზრუნველჰყოფს ყველა ნაკისრ მოვალეობას; ამ გარანტიას წარმოადგენს: ა) საზოგადოების ძირითადი თანხა სამი მილიონი მანათისა (3.000.000) ბ) სათადარიგო თანხა, რომელიც სდგება საზოგადოების წმინდა მოგებიდან 10% გადადებით და გ) პრემიების სრულის სათადარიგო ჯამისაგან, რომელიც ინახება, მთავრობის ფაქტიურ კონტროლით, თანახმად 1898 წ. 11 მაისის კანონისა;

2) სრულს ხელუხლებლობას პოლისებისას და ყველა იმ ფულისას, რომელიც დამზღვევმა საზოგადოებიდან ერგებათ, არესტისაგან, გადაცემისაგან და სხვა;

3) უსათუოდ უცილებლობას პოლისებისას დაზღვევიდან 1 წლის შემდეგ.

4) პოლისების დაურღვევლობა დაზღვევიდან 3 წლის შემდეგ, ესე იგი, სამის წლის შემდეგ დამზღვევს ნება აქვს, თუ ჰსურს, შეაჩეროს გადასახადის შეტანა საზოგადოებაში და მიუხედავად ამისა, დარჩეს დაზღვეულად ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივად;

5) პასუხის გებას, თუ დაზღვეულმა თავი მოიკლა.

6) მოგზაურობის სრულს თავისუფლებას;

7) სამსახურისა და პროფესიის სრულს თავისუფლებას;

8) პრემიების სიიაფეს;

9) განთავისუფლებას გადასახადებიდან, რომელიც საჭიროა პოლისების დასამზადებლად და აგრეთვე სავერბო გადასახადებისაგან;

10) უფლებას დაზღვევისათვის გადასახადის თვიურად შემოტანისას;

11, საზოგადოების მოგებაში მონაწილეობის ნებას იმის მიხედვით, თუ რამდენი ექნება დამზღვევს შეტანილი პრემია;

12) სესხს იმ პოლისების გირაოთი, რომელთაც 3 წლის განმავლობაში ძალა ჰქონდათ; სესხი გაიცემა 6%-ით;

13) უფლებას შეაჩეროს დროებით დაზღვევა და შემდეგ, თავისავე სურვილის თანახმად, კვლავ აღადგინოს იგი;

14) სამის თვის შეღავათს სავადო პრემიის გადასახდელად და სხვ...

საზოგადოების გამგეობა იმყოფება პეტერბურგს, ნევსკი პრ., 23. ამიერ-კავკასიის ოლქის მმართველობა ტფილისშია, გოლოვინის პრ., ოქოევის სახლი, ტელეფონი № 429.

აგენტები არიან ოლქის ყველა უმთავრეს ადგილებში. (100—30)